საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 2037-02
20/07/2018

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **ბიზნესის სკოლაში ტურიზმის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე** კონკურსის გამოცხადების შესახებ

”უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 35-ე მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის 1-ლი და მე-6 პუნქტების, 32-ე მუხლის და 33-ე მუხლის მე-4 პუნქტის, 2018 წლის 6 მარტის წარმომადგენლობითი საბჭოს მე-2 სხდომაზე დამტკიცებული „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის ჩატარების წესის და აკადემიურ თანამდებობაზე დასაქმების პირობების” საფუძველზე, ბიზნესის სსკოლის დეკანის გ. ქადაგიძის 2018 წლის 18 ივლისის N12473-35 სამსახურებრივი ბარათის, აკადემიური საბჭოს 2018 წლის 18 ივლისის N8 ოქმის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1.2018 წლის 4 სექტემბრიდან გამოცხადდეს ღია კონკურსი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **ბიზნესის სკოლაში ტურიზმის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე.**

2.კონკურსი უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს;

3. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:

ა) უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული ანკეტა (შევსებული);

ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) ოთხი ფოტოსურათი 3X4;

დ) სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის დამადასტურებელი ცნობა;

ე) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ვ) ერთი ნაშრომი, ან სამუშაოს აღწერა, რომელიც კანდიდატის აზრით საუკეთესოდ წარმოაჩენს მის შესაბამის გამოცდილებას;

ზ) ერთი სასწავლო კურსის სასწავლო გეგმა (სილაბუსი);

4. კონკურსში მონაწილე კანდიდატთა პირადი მონაცემების შეფასება მოხდება უფლებამოსილი ორგანოს აკადემიური საბჭოს ან აკადემიური საბჭოს მიერ შექმნილი კომისიის მიერ. გადაწყვეტილიების მიღებისას მხედველობაში მიღებულ უნდა იქნას კანდიდატების პროფესიული გამოცდილება, სპეციალური მომზადება ან/და პუბლიკაციები.

5. საკონკურსო განცხადებების მიღება იწარმოებს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცელარიაში, მის: ჩოლოყაშვილის გამზ. 3/5, 2018 წლის 5 ოქტომბრიდან 2018 წლის 18 ოქტომბრის ჩათვლით.

6. კონკურსის შედეგები გამოცხადდება 2018 წლის 7 ნოემბერს.

7. საბუთები უნდა იყოს წარმოდგენილი აგრეთვე ელექტრონული ფორმით საბუთების ელექტრონული ვერსია უნდა გაიგზავნოს შემდეგ მისამართზე: info@iliauni.edu.ge

8.იმ კანდიდატთა საკონკურსო განაცხადები, რომლებიც ვერ გაიმარჯვებენ ამ ბრძანებით გამოცხადებულ კონკურსში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურში ინახება საკონკურსო შედეგების გამოცხადებიდან ერთი თვის განმავლობაში.

9.ამ ბრძანების მე-8 პუნქტში მითითებულმა პირებმა, საკონკურსო განაცხადის დაბრუნების მიზნით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს განცხადებით უნდა მიმართონ კონკურსის შედეგების გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში.

10.უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურსა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს დაევალოს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის საიტზე.

11.კანცელარიას დაევალოს ბრძანების გაცნობა შემდეგი სტრუქტურებისათვის: ბიზნესის სკოლა, ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

გიგა ზედანია

რექტორი